ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 36

20.11.2019 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
16:00 საათი *ოთახი 2-01*

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, 16:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (15.11.2019, 12-0319319121-03) *(მომხსენებელი - ლევან მიქავა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)*
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (08.11.2019, #12-031931218-03) *(მომხსენებელი - ირაკლი გვილავა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი)*

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - 2020 წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გათვალისწინებით მიმდინარე წლის ბიუჯეტი გახლავთ 1 020 000,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე 92 368,5 ათასი ლარით მეტია. აღნიშნული მატება ძირითადად განპირობებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 100 000,0 ათასი ლარის ასახვით. 2020 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები ასე გამოიყურება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა 122 046,1 ათასი ლარი, აღნიშნული მოიცავს გზების და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობას; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება 269 046,9 ათასი ლარი, აქ გათვალისწინებულია ხიდების და გვირაბების აღდგენა რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, ასევე თბილისის განვითარების ფონდით გათვალისწინებული ძველი ქალაქის რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტები და ავარიული შენობების გამაგრების დაფინანსება; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 111 348,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 7 127,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 38 296.3 ათასი ლარი, აქ ზრდა გვაქვს 18 000,0 ათასი ლარით წინა წელთან შედარებით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 151 695,8 ათასი ლარი, პროგრამა შემცირდა იმის გამო, რომ სასწრაფო დახმარების ცენტრის დაფინანსება გადავიდა ცენტრალური მთავრობის ბალანსზე და გამოთავისუფლებული სახსრები გადანაწილდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და ბაღების სააგენტოს ბალანსზე; განათლება 168 559,6 ათასი ლარი, აქ ძირითადი ბიუჯეტი ბაღებზე მოდის და გათვალისწინებულია ძველი ბაღების დემონტაჟი, ავარიულების გამაგრება და ახლების მშენებლობა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 6 601,2 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 103 442,9 ათასი ლარი, აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ავტობუსების სესხის გადახდის გამო; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 41 835,5 ათასი ლარი, 2020 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწვრთნელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფარგლებში მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში. ასევე საცურაო აუზის მშენებლობა ლილოში, სპორტული ცენტრი იმედის რეაბილიტაცია, ასათიანის ქუჩაზე სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია, რაგბის მოედნის მშენებლობა და სხვა პროექტები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხის დაფარვა 3 336,3 ათასი ლარი და ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD))

15 345,7 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 528,5 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი განსაზღვრულია 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - როგორც ერთი რიგითი საკრებულოს წევრი მივესალმები ბიუჯეტის ამ ნიშნულზე ყოფნას. აღსანიშნავია, რომ ამ მოცულობის ბიუჯეტი პირველად ექნება დედაქალაქს, ასევე შენარჩუნებულია ყველა პრიორიტეტი, სოციალური მიმართულება, გამწვანებისa და სატრანსპორტო საკითხები, ასევე არსებითი ყურადღება ეთმობა ჯანსაღი ცხოვრების წესს, რასაც ჩვენი კომისია განიხილავს დარგობრივი სამსახურების მიხედვით. უშუალოდ მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 7 000,0 ათას ლარამდე იზრდება, რაც მისასალმებელია.

ირაკლი გვილავა - სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით გვაქვს მატება, მოგეხსენებათ დედაქალაქში თანდათან მატულობს სპორტული ინფრასტრუქტურა, ჩვენი სურვილია ყველა უბანში გაჩნდეს სპორტული ცენტრები. ახლო მომავალში კოჯორში ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობა იგეგმება, ამ პროექტით თბილისში შეიქმნება სპორტული და ახალგაზრდული ფესტივალების ჩატარებისთვის სათანადო გარემო, დახურული საცურაო აუზით, ბიბლიოთეკით, სასადილო, სასტუმრო და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი.

დავით რურუა - აუცილებელია საცურაო აუზების მშენებლობის დროს, პროექტში დაცული იყოს შესაბამისი პარამეტრები ზომაში, რომ მოხერხდეს საწყლოსნო სახეობათა შეჯიბრებების ჩატარება.

ავთანდილ ცინცაძე - წყნეთის სპორტული ცენტრის სიახლოვეს, თუ იქნება შესაძლებელი სპორტული შეკრებებისთვის სასტუმროს და აუზის მშენებლობა იქნება ძალიან მომგებიანი და მნიშვნელოვანი ქალაქისათვის.

გიორგი მუსხელიშვილი - წყნეთში საცურაო აუზის და სასტუმროს მშენებლობის პროექტირების შესყიდვა იქნებ აისახოს აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში.

დავით ჭელიძე - ნაძალადევის რაიონში (ც. დადიანის ქუჩის მიმდებარედ) არის ძალიან დიდი ტერიტორია, სადაც ტრადიციული სპორტული ცენტრები ფუნქციონირებდა, იყო ცურვის, კრივის და ჭიდაობის დარბაზები, ასევე არის სტადიონი და სხვა ინფრასტრუქტურა, არსებული ტერიტორიის გამოსყიდვა და ქალაქისთვის დაბრუნება, თუ მოხდება ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ქალაქის ცენტრში ასეთი მასშტაბის ტერიტორია სპორტული სივრცისთვის სამწუხაროდ აღარ დარჩა.

გიორგი ჩაკვეტაძე - 2020 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტი სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, არსებითად სწორადაა გადანაწილებული. მისასალმებელია, რომ დიდი დიღომში და ვარკეთილში აშენდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრები, მოხდება იმედის სტადიონის რეაბილიტაცია, ლილოში აშენდება საცურაო აუზი, ლადო ასათიანის 50 ნომერში სპორტული ცენტრს ჩაუტარდება რეაბილიტაცია, ვაზისუბანში აშენდება რაგბის სტადიონი.

დადებით ფაქტს წარმოადგენს, სპორტული მოედნების მშენებლობა/რეკონსტრუქციის ქვეპროგრამის 200, 0 ათასი ლარით დაფინანსება, რაც მოხმარდება თბილისის სკვერებში ექსტრემალური პანდუსების მოწყობას.

თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ბიუჯეტში აისახოს და გამოინახოს დამატებითი სახსრები მწვრთნელთა მხარდაჭერის (კოდი 08.06.02) პროგრამისთვის, მწვრთნელთა 12 თვით წახალისების დასაფინანსებლად, ფედერაციების და მწვრთნელ/მასწავლებლების მოთხოვნიდან გამომდინარე. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მშენებლობის (კოდი 08.06.04) ქვეპროგრამაში სასურველია აისახოს მინიმუმ ერთი სპორტული ცენტრის პროექტის შესყიდვა. კომისიის ინიციატივაა რაიონულ გამგეობებთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ამაღლდეს გარე გამოყენების მინი სტადიონების ხარისხი და მოექცეს ერთიან სტანდარტებში, როგორც ვიზუალურად ასევე ხარისხის თვალსაზრისით, რაც უნდა აისახოს შესაბამის სატენდერო პირობებში და იყოს ერთიანი სტანდარტი.

ავთანდილ ცინცაძე - პირადი შეხება გვაქვს მწვრთნელებთან და დიდი შეღავათი იქნება, რომ მოხერხდეს მათი მხარდაჭერის პროგრამა 12 თვეზე დაფინანსდეს, მათ არაერთხელ წამოაყენეს ეს საკითხი და გთხოვთ გავითვალისწინოთ.

შალვა ოგბაიძე - მაინტერესებს ავჭალაში სპორტული ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა აღნიშნულ ბიუჯეტში ასევე ზაჰესში ენერგეტიკოსების დასახლებაში ტრადიციული საჭიდაო დარბაზის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან მუნიციპალურ ბალანსზე გადასვლის შემდეგ, თუ იქნება შესაძლებელი რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრები გამოინახოს.

ირაკლი გვილავა - მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის გაზრდა 12 თვით შესაძლებელია, სპორტული ღონისძიებების ნაწილიდან თანხის დამატების შედეგად. ავჭალაში შესაძლებელია მცირე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, რომლის პროექტის შესყიდვას ვფიქრობთ არსებული ეკონომიების ხარჯზე, რაც შეეხება ზაჰესის ტერიტორიაზე დარბაზის რეაბილიტაციას, მუნიციპალურ ბალანსზე გადმოტანის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პროექტირების თანხის მოძიება. ნაძალადევის რაიონში (ც. დადიანის მიმდებარედ) აღნიშნული კომპლექსის შესახებ ინფორმაციას ვფლობთ და ვმუშაობთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წყნეთში საცურაო აუზის და სპორტული შეკრებებისთვის სასტუმროს მშენებლობას მივესალმებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წინადადებები (შენიშვნები) და რეკომენდაციები (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა

წინადადებებით (შენიშვნები) და რეკომენდაციებით ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიას წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ირაკლი გვილავა - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა. სპორტის დარგში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 0,001%-ს ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტის დარგით დაინტერესებული ეკონომიკური აგენტები და დარგის მმართველი სახელმწიფო უწყებები ხშირად მომართავენ ადგილობრივ თვითმმართველობას, ქონების გადასახადის ნაწილში, დიდი საგადასახადო ვალდებულებების გამო. დავალიანების დაგროვება გამოწვეულია სპორტის სხვადასხვა სახეობებში გამოყენებული ძირითადი საშუალებების დიდი საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან. მისი დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები ნაკლებად მომგებიანი და ითხოვენ გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას. გასულ წლებში მიღებულმა ანალოგიურმა დადგენილებამ აგენტები სპორტის სფეროში საქმიანობით დააინტერესა. აღნიშნული დადგენილება გავრცელდება 2021 წლის 1 იანვრამდე. ამ სახით დადგენილების პროექტის წარმოდგენა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის პოპულარიზაციას და განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე